ასე იკარგება ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 25 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – ცდსა (მოსკოვი) – 1:1 (0:1).

ცდსა: რაზინსკი, პორხუნოვი, ბაშაშკინი, კრუტიკოვი, გრიშინი, პეტროვი, აგაპოვი, სავინი, ფედოროვი, ბელიაევი, ემიშევი.

“დინამო”: მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, გაგნიძე, ზაზროევი, კალოევი, ხასაია.

მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

ძლიერ გუნდებს შორის მატჩი მეტწილად იწყება ფრთხილი დაზვერვით, ზედმეტი რისკის გარეშე. ასე დაიწყო მატჩი თბილისის “დინამოსა” და ცდსა–ს შორის. მოწინააღმდეგეები კარგა ხანს ეძებდნენ სუსტ ადგილებს ერთმანეთის პოზიციაში. ასეთი სუსტი ადგილი პირველად თბილისელებმა მოძებნეს არმიელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე კრუტიკოვის სახით. შეტევები მარჯვენა მხრიდან სულ უფრო და უფრო სახიფათო ხასიათს ღებულობდა, მაგრამ მალე ერთ–ერთი ასეთი შეტევისას ჭკუასელმა ფეხის საგრძნობი ტრავმა მიიღო და მხოლოდ 30–ე წუთზე დაუბრუნდა მინდორს.

ამ გერემოებამ თბილისელთა აწყობილი თამაში შეაფერხა, მათი იერიშები ოდნავ შენელდა და მოსკოველებმა გაათანაბრეს თამაში. მე–18 წუთზე ბელიაევი შეიჭრა “დინამოს” საჯარიმო მოედანზე, მას მოუსწრო ხოჭოლავამ, დაასწრო დარტყმა და… ბურთმა ტრაექტორიით გადაუარა მარღანიას, რომელიც არ მოელოდა ამ “სიურპრიზს” თავისი დაცვის ხაზიდან. 1:0.

არმიელებმა გადაწყვიტეს სრულად გამოეყენებინათ ასეთი მოულოდნელი უპირატესობა – ერთი მწყობრიდან გასული ფეხბურთელი მოწინააღმდეგე გუნდში და მოწინააღმდეგის მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლი. მაგრამ თბილისელები სულაც არ ფიქრობდნენ დაეთმოთ თამაში ასეთ “დაზარალებულ” ვითარებაში. ცდსა–ს ფაქტიურად არც შეუქმნია რეალური საფრთხე “დინამოს” კართან მაშინ, როცა ხასაიამ, კალოევმა, ზაზროევმა და დაშავებულმა ჭკუასელმაც კი აიძულეს არმიელთა დაცვა და მეკარე რაზინსკი სრული დატვირთვით ემუშავათ. ტაიმის დასასრულს კალოევი აშკარად ჯობნიდა ბაშაშკინს, ხოლო ხასაიამ მარჯვენა ფრთაზე დაიწყო გარღვევები, რამაც მეორე ტაიმში ისეთი სახე მიიღო, რომ ცდსა–ს დაცვა იძულებული იყო კრუტიკოვისათვის ერთი კაცი მოეშველებინა “საგანგაშო მდგომარეობის” ლიკვიდირებისათვის.

მეორე ტაიმში თბილისელებს ჰქონდათ აშკარა უპირატესობა. გუნდი თამაშობდა აქტიურად, ტემპიანად, გაშლილად. ეს იყო უპირატესობა, რომელიც ფეხბურთის პრაქტიკაში, როგორც წესი, რამდენიმე გოლით მთავრდება. მართლაც, ცდსა განუწყვეტელი საშიშროების წინაშე იყო, რაზინსკი მთელი თავისი ოსტატობით შესანიშნავად იცავდა თავის კარს.

მთელი ტაიმის განმავლობაში ბრწყინვალედ ითამაშა ხასაიამ. მცველები ყოველნაირად ცდილობდნენ მის შეჩერებას, საამისოდ ისინი ისეთ “დამხმარე” საშუალებებსაც არ ერიდებოდნენ, როგორც ხელით დაჭერა და ფეხის დადებაა, მაგრამ თბილისელის დაკავება შეუძლებელი იყო. მე–19 წუთზე გრიშინმა ფეხი გამოსდო მორიგ გარღვევაზე გასულ ხასაიას. ზაზროევის მიერ დარტყმულ პენალტს ალღო აუღო რაზისნკიმ, მაგრამ ბურთის შეჩერება ვერ შეძლო – ზაზროევმა ხელმეორე დარტყმით გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

დარჩენილი დროის მანძილზე სურათი არ შეცვლილა. სისტემატურად, ყოველი რამდენიმე წუთის შემდეგ, ცდსა–ს კარი ბეწვზე ეკიდა, ზოგჯერ მეკარის გვერდით რამდენიმე მცველი დგებოდა ბურთის მოსაგერიებლად, მაგრამ გოლი არ იქნა გატანილი. დინამოელებმა ვერ გამოიყენეს თავისი აშკარა უპირატესობა და იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ 1 ქულით.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა – 2:1.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 29 აპრილი, 1956 წ.